ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

№20 08.04.19წ

ა.ა.ი.პ. ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი და ფ/პ ბექა მომმანაშვილს შორის

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი, წარმომადგენელი მისი დირექტორის შ.არჯევანიძის სახით (შემდგომში "დამკვეთი") ხოლო, მეორეს მხრივ ფ/პ ბექა მომმანაშვილის სახით (შემდგომში "შემსრულებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განთლების მულიფუნქციური ცენტრის დაგეგმილი 9 აპრილის დღესთან დაკავშირებით ტრანსპორტირების მომსახურების საფასური.

CPV კოდი-60100000-100ლარი

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 "შემსრულებელი" ვალდებულია უზრუნველყოს 9 აპრილის დღესთან დაკავშირებით ტრანსპორტირების მომსახურების უზრუნველყოფა.
2.2 "შემსრულებელი" უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და პასუხს აგებს მის უხარისხობაზე თუ იგი გამოწვეულია "შემსრულებლის" არასწორი ქმედებით.
2.3 "დამკვეთი" ვალდებულია აუნაზღაუროს "შემსრულებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.
2.4 "დამკვეთი" და "შემსრულებელი" იღებენ ვალდებულებას, დროულად და სრულად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. ფასი და გადახდის წესი

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 100(ასი)ლარს.
3.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

4. ხელშეკრულების პირობების შესრულება

4.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებულად ითვლება მას შემდეგ როდესაც ორივე მხრიდან დადასტურდება შესრულების აქტით.

5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

5.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.
5.2 შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6. ხელშეკრულების ვადა

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ორმხრივად ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 06 მაისამდე .

7. ფორსმაჟორი

7.1 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. სადავო საკითხები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა კონსულტაციების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დასკვნითი ნაწილი

9.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარის ტექსტი იდენტურია და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

10. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი	შემსრულებელი
ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი. ს/კ 436255419 მის.მცხეთა სამხედროს ქ#9 ტელ:599515965	ფ/პ ბექა მოძმასნაშვილი პ/ნ 31001054501 ბანკი:საქართველოს ბანკი ბანკის კოდი:BAGAGE22 ა/ნ GE17BG0000000160980346
დირექტორი შ.არჯევანიძე ---	ბექა მოძმანაშვილი ---

NNLE MTSKHETA MUNICIPALITY CULTURE AND EDUCATION MULTIFUNCTIONAL CENTRE

Digitally signed by NNLE MTSKHETA MUNICIPALITY CULTURE AND EDUCATION MULTIFUNCTIONAL CENTRE
Date: 2019.04.08 15:08:20 +04'00'